თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №2ბ/5108-15 **9 მარტი, 2016 წელი**

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ბესარიონ ტაბაღუა, გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – შპს „X ფ.“

წარმომადგენელი - ა. ხ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ” ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო

სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით, მოსარჩელე შპს „X ფ.-ს“ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციით, მოსარჩელეს უნდა დაეზუსტებინა, თუ სად უნდა მომხდარიყო წარმოდგენილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოვალის მიერ კრედიტის დაფარვა და სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით (თბილისის საქალაქო, ან თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო) უნდა ყოფილიყო წარდგენილი (ს.ფ. 38-43).

აღნიშნულ განჩინებაზე, 2015 წლის 30 ოქტომბერს, შპს „X ფ.-ს“ წარმომადგენელმა, ა. ხ.-მ, კერძო საჩივარი წარადგინა და თბილისის საქალაქო გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა (ს.ფ. 46-52).

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით. თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა

იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა მასსა და მოპასუხე ე. ხ.-ს შორის გაფორმებულ ელექტრონული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებს ემყარება.

აღსანიშნავია, რომ შპს „X ფ.-ს“ მიერ აღძრულ სარჩელში მოთხოვნის განმსაზღვრელი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები მითითებული არ არის, კერძოდ, მოსარჩელე არ განმარტავს, თუ როდის მოხდა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შესრულების დარღვევა და როდიდან დაიწყო მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვა. ამდენად, **პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ გაურკვეველია და დასაზუსტებელია მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზე დაყრდნობითაც მხარე მოპასუხისთვის ფულადი ვალდებულების შესრულების დაკისრებას მოითხოვს.**

პალატა ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მასალებზე, კერძოდ, ხელშეკრულების 4.3 პუნქტზე, რომლის თანახმად, **გადახდები ხორციელდება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით შესაბამისი დანიშნულების მითითებით.** მსესხებლის ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან (ს.ფ. 16). შესაბამისად, ივარაუდება, რომ მსესხებლის მიერ თანხის გადახდა ხსენებულ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით უნდა განხორციელებულიყო, რაც ნიშნავს იმას, რომ მსესხებელს თავისუფლად შეეძლო, თანხის გადარიცხვა ინტერნეტ-ბანკის, საბანკო ტერმინალის ან გამსესხებლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანის გზით. ამდენად, მოპასუხე ვალდებულების შესრულების ადგილით შეზღუდული არ იყო. ამდენად, ხელშეკრულების 4.3 პუნქტით, თანხის გადახდის წესი განსაზღვრულია, რაც ადასტურებს მოსარჩელის მზაობას, შესრულება სწორედ ამ წესით (მოპასუხის მიერ არჩეული შესრულების ადგილის მიხედვით) მიეღო. მოსარჩელე ვალდებულია წარმოადგინოს იმის შესახებ მტკიცებულებები, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება სწორედ იქ ხორციელდებოდა, სადაც სარჩელია წარმოდგენილი. პალატა მიუთითებს, რომ სარჩელს უნდა ერთვოდეს ამონაწერი ან სხვა მტკიცებულება, რომლითაც ვალდებულების განხორციელების ადგილი დადასტურდება და ამის შესაბამისად, შესაძლებელი იქნება, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლი სუბსიდიურ რეგულირებას შეიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი 386-ე მუხლის შესაბამისად,

მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, **როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილის სხვა გზით დადგენა შეუძლებელია**. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის წყაროები შეიძლება იყოს ხელშეკრულება, კანონი, ასევე შესასრულებელი ვალდებულების ბუნება და ა. შ. შესაბამისად, თუ არც ერთი ჩამოთვლილი წყაროდან არ ირკვევა ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი, ასეთ შემთხვევაში სუბსიდიური წყარო გამოიყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ უნდა დააზუსტოს, სად უნდა მომხდარიყო წარმოდგენილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოვალის მიერ კრედიტის დაფარვა და ფაქტობრივი შესრულებები მოპასუხეს სად აქვს განხორციელებული, ვინაიდან ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე სარჩელები იმ სასამართლოს განსჯადია, სადაც ვალდებულება სრულდებოდა ან უნდა შესრულებულიყო. ვინაიდან მოსარჩელეს ვალდებულება ნებისმიერი ადგილიდან შეეძლო შეესრულებინა, ასეთ შემთხვევაში, განსჯადი სასამართლოს დადგენის მიზნებისათვის, მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის მოსარჩელის მიერ არჩეული შესრულების ადგილი (უკვე განხორციელებული ფაქტობრივი გადახდები).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ შპს „X ფ.-ს“ წარმომადგენლის, ა. ხ.-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ უცვლელად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16, 177-ე, 178-ე, 187-ე, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 420-ე, მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. შპს „X ფ.-ს“ წარმომადგენლის, ა. ხ.-ს, კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **ქეთევან მესხიშვილი**

მოსამართლეები **ბესარიონ ტაბაღუა**

გოდერძი გიორგიშვილი